ხელშეკრულება № 89

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მაისი 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს "აუდიტ ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ლალებაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 <u>ხელშეკრულების საგანია</u>: შეფასებასთას დაკავშირებული მომსახურების **CPV 79419000** შესყიდვა, კერძოდ: ქ. თბილისში, დიღმის სასწ. საცდელ მეურნეობაში მდებარე 11839 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდი: 01.72.14.009.552) შეფასების მომსახურება და შეფასების შედეგად კაპიტალის განსაზღვრის თაობაზე დასკვნის მომზადება;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **295 (ორასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი;** (დღგ-ს ჩთ.)

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. **მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

შემსყიდველი მიმწოდებელი

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: ნანა სულაბერიძე (მთავარი ბუღალტერი);

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – გიორგი თევდორაშვილი);

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორებამიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურეობა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს წარმომადგენელი გიორგი თევდორაშვილი;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

შემსყიდველი მიმწოდებელი

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათშორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდებ ახელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი და უძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით;

12.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#49ა **საბანკო რეკვიზიტები:** „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**შ.პ.ს „აუდიტ ცენტრი“** **საიდენტიფიკაციო კოდი:**201990989 **მის:** ქ.თბილისი, 26 მაისის მოედანი №2 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „თიბისი ბანკი“- ცენტრალური ფილიალი **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ანგარიშის ნომ:** GE66TB0600000024467523

დირექტორი: თ.ტყეშელაშვილი

შემსყიდველი

დირექტორი: ვ. ლალებაშვილი

Vazha Lalebashvili

Digitally signed by Vazha Lalebashvili
Date: 2019.05.22 16:09:19 +04'00'

მიმწოდებელი